

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
NATIONAL SCIENCE LIBRARY



ბიობიბლიოგრაფიული სერია „ქართველი მეცნიერები“
Biobibliographical Series “Georgian Scholars”

Levan Gokieli

(1901-1975)

Biobibliography

Tbilisi
2020

ლევან გოკიელი

(1901-1975)

ბიობიბლიოგრაფია

თბილისი
2020

012 (გოკიელი, ლ.) + 016 : 51+16

გოკ 64

გამორჩენილი ქართველი მათემატიკოს-ფილოსოფოსი ლევან გოკიელის ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1925-2018 წლების მასალას: სამეცნიერო შრომებს მათემატიკური ლოგიკისა და ფილოსოფიის შესახებ, სტატიებს, კვლევებს და ლიტერატურას მისი მოღვაწეობის შესახებ.

ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის ლევან გოკიელის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმოხილვა და ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ერთვის სახელთა ანბანური საძიებელი და ფოტომატიაზე.

The biobibliography of the Georgian famous mathematician-philosopher Levan Gokieli contains the materials of 1925-2018 years: scientific works about mathematical logic and philosophy, researches, articles and the literature about him.

The biobibliography is prefaced by the review about scientific and social activities of Levan Gokieli. The main dates are marked separately. Indexes of names are applied in alphabetical order.

შემდგენლები: **ნანა ბაღატურია**

მარიკა ჯორჯოლიანი

რედაქტორი: **ომარ ძაგნიძე**

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი: **ნანა ბაღატურია**

მთარგმნელი: **ინგა ნარინდოშვილი**

დამკაბადონებელი ეკატერინე თეთრაშვილი

გარეკანის დიზაინი: **ნინო ხოსრუაშვილი, ნინო ებრალიძე**

Authors: **Nana Baghaturia, Marika Zhorzholiani**

Editor: **Omar Dzagnidze**

Bibliographic editor: **Nana Baghaturia**

Translator: **Inga Narindoshvili**

Prepress: **Ekaterine Tetrashvili**

Cover Design: **Nino Khosruashvili**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2020

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2020

ISBN

ISSN 2298-0059



სარჩევი

ლევან გოკიელი (ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა).....	9
Levan Gokieli (A brief review of his life and work).....	22
ლევან გოკიელის ცხოვრების და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები.....	31
Life and Works of Levan Gokieli Basic Dates.....	33
ლევან გოკიელის შრომები.....	35
Levan Gokieli's Works.....	35
ლევან გოკიელი - რედაქტორი, დისერტაციის ხელმძღვანელი.....	52
Levan Gokieli – Aditor, Leader of Doctoral Thesis.....	52
ლიტერატურა ლევან გოკიელის შესახებ.....	53
Publications about Levan Gokieli.....	53
საიუბილეო თარიღები.....	62
Jubilee Dates.....	62
მასალები ლ. გოკიელის გარდაცვალების გამო.....	64
Materials about Death of L. Gokieli.....	64
სახელთა საძიებელი.....	65
Index of Names.....	65
ფოტოარქივი.....	67
Photo Archive.....	67

ლევან გოკიელი

(ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

გამოჩენილი ქართველი მათემატიკოს-ფილოსოფოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან გოკიელი დაიბადა ქ. ქუთაისში 1901 წლის 3 დეკემბერს.



მამა - პეტრე გოკიელი

გოკიელები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის სამეურნეო და საგანმანათლებლო-კულტურულ ცხოვრებაში. გადმოცემის თანახმად, გოკიელების წინაპარი იტალიელი (ფლორენციე-

ლი) ოქრომჭედელი ყოფილა, რომელიც XVII საუკუნეში მიუწვევია სამეგრელოს მთავარს დადიანს. ოქრომჭედელის ორი ვაჟიდან ერთი დარჩენილა სამეგრელოში და მიუღია ეჯიბის გვარი (ეჯიბი-ხუროთმოძღვარი), ხოლო მეორემ თანამორწმუნე ქართველ კათოლიკეთა საზოგადოებას მიაშურა მესხეთ-ჯავახეთში. აქ ის დასახლებულა სოფელ გოკიოში, რომლისგანაც მისმა შთამომავლებმა მიიღეს გვარი გოკიელი.

თბილისი-ფოთის რკინიგზის ამუშავების შემდეგ, გოკიელებმა თავიანთი ცოდნა-უნარის რეალიზაციის ხელსაყრელ ადგილად მიიჩნიეს ქუთაისი და კიდევაც დასახლდნენ ამ ქალაქში. უნდა აღინიშნოს, რომ მათი საქმიანობა იყო მრავალმხრივი და წარმატებული.

პირველადი დაწყებითი განათლება ლევანს მიუღია დედისგან – ქ. ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის კურსდამთავრებულ და მათემატიკის მასწავლებელ მარიამ იაკობის ასულ ბაჯიაშვილისგან. 1910-1919 წლებში ლევანი წარჩინებით სწავლობდა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში და გამოირჩეოდა თავისი წესიერებითა და მახვილგონიერებით. მრავალი წელი იგი იყო მოსწავლეთა წარმომადგენელი პედაგოგიურ საბჭოში, რაც ალბათ იშვიათი შემთხვევაა სკოლის ისტორიაში.

ბატონი ლევანის სწავლა-განათლებაზე უდიდესი გავლენა მოუხდენია მამის მიერ მისსადმი 1913 წელს გაგზავნილ ერთ-ერთ ბარათს შემდეგი სიტყვებით-მუდმივად სადღეისო შეგონებით: „ბეჯითობით, მეცადინეობით და გულმოდგინებით გაიკაფე ცხოვრების გზა, სძლიე დაბრკოლება და უსამართლო დევნა, იყავ პატიოსანი, სამართლიანი, დამცველი ჩაგრულისა, კაცთა მოყვარე, სამშობლოს მცველი და მშობელი დედ-მამის გამხარებელი. მამა პეტრე. 2 თებერვალი, 1913 წელი“.

გიმნაზიაში სწავლისას, ბატონ ლევანს ჩამოუყალიბდა ფილოსოფიური საკითხებისადმი თავისებური, სხვებისგან განსხვავებული მიდგომა. მაგალითად, ბატონი ლევანის მსჯელობით ცოდვის მონანიება პატიების მეშვეობით დაიყვანება ლოგიკურ პრობლემაზე, სადაც ფიგურირებს უსასრულობაში ლოგიკური რეგრესის მეთოდი და რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მის მერმინდელ შრომებში. ვთქვათ, პიროვნებამ წინასწარ მოინანია მომავალი ცოდვა. ამის შემდეგ მან გაქურდა ის მღვდელი, რომლისგანაც მო-

ნანიება მიიღო და ნივთებთან ერთად მას წაართვა მისთვის მიცემული ჰონორარიც.

ისმის კითხვა: ჰონორარის წართმევა ითვლება თუ არა ცოდვად? მღვდლის, მაგრამ არა მომნანიებლის, აზრით ჰონორარის წართმევა ცოდვაა, რისთვისაც მეორე მომნანიება და მეორე ჰონორარია საჭირო. თუ მომნანიებელმა მეორე ჰონორარიც წაართვა, მაშინ მესამე და ასე შემდეგ დაუსრულებლად, რაც საქმის მოგვარებას აფერხებს.

რაკი ლევანს ფილოსოფოსობა სწადდა, ამიტომ მან გადაწყვიტა შესულიყო მათემატიკის ფაკულტეტზე. მისი მოტივაცია იყო: ისეთი ფილოსოფიური მუშაობისთვის, როგორც მას სურდა, საჭირო იყო მათემატიკის სრულფასოვანი ცოდნა.

თეორიულად ეს სავსებით დასაშვებია იყო, მაგრამ პრაქტიკულად მეტად ძნელი: ლევანს უნდა ემუშავა ორი მეცნიერების, ფილოსოფიის და მათემატიკის საერთო პრობლემებზე; მას ურთიერთობა უნდა ჰქონოდა არაფილოსოფოს მათემატიკოსთან და არამათემატიკოს ფილოსოფოსთან, რასაც უეჭველად თანსდევდა აზრთა დაუმთავრებელი ჭიდილი-მეცნიერული კონფლიქტი. ამით უკვე გამოისახა მისი ცხოვრების ის გზა, რაც მამამისმა გამოთქვა თავის წერილში და თანაც, ეს ჭიდილი უნდა ყოფილიყო პატიოსანი! ბატონი ლევანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მზად აღმოჩნდა ასეთი ჭიდილისთვის, რაც წარმატებით მთავრდებოდა ხოლმე!

ლევან გოკიელი 1919 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტში პედაგოგიური ფაკულტეტის მათემატიკურ განყოფილებაზე, სადაც მათემატიკური განათლების მთავარ დარგს-მათემატიკურ ანალიზს კითხულობდა პროფესორი ანდრია რაზმაძე (1890-1929 წწ) - უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი. ბატონ ანდრიას დიდი გავლენა მოუხდენია სტუდენტ ლევან გოკიელზე თავისი ზუსტი მსჯელობებით და საგნისადმი სერიოზული მიდგომით. სტუდენტ ლ. გოკიელზე დიდი გავლენა მოუხდენია, აგრეთვე, პროფესორ შალვა ნუცუბიძის (1888-1969 წწ) მიერ ფილოსოფიის კურსის წაკითხვას.

ეს გავლენა განაპირობა იმანაც, რომ ბატონ შალვას სადოქტორო დისერტაცია „ბოლცანო და მეცნიერების თეორია“ (გამოქვეყნდა 1913 წელს რუსულად) მიძღვნილი იყო ჩეხი დიდი ფილოსოფოს-მათემატიკოს ბერნარდ ბოლცანოს (1782-1848 წწ) შრომები-

სადმი, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მათემატიკურ ლოგიკასა და სიმრავლეთა თეორიაში.

ლევან გოკიელმა უნივერსიტეტი დაამთავრა 1924 წელს და შესაბამისი დიპლომი №131 გაიცა 1936 წლის 10 იანვარს. იგი იყო პირველი და ერთადერთი მათემატიკოსი, რომელმაც თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრა ამ წლის გამოშვებიდან. ლევან გოკიელის სადიპლომო ნაშრომი იყო „ფუნქციები, წარმოდგენილი განუწყვეტელ ფუნქციათა მწკრივის სახით“. მომდევნო წელს უნივერსიტეტს მათემატიკოსები არ გამოუშვია; შემდეგი გამოშვება მოხდა მხოლოდ 1926 წელს.

წარჩინებით კურსდამთავრებული ლევან გოკიელი, მკაცრი და მომთხოვნი ანდრია რაზმადის მოწაფე, დატოვეს უნივერსიტეტში პროფესორად მოსამზადებლად. 1927 წლიდან ლევანი შეუდგა ასისტენტის მოვალეობის შესრულებას ანდრია რაზმადის წარდგინებით.

მათემატიკური ლოგიკის და ფილოსოფიის საკითხებით, კერძოდ მათემატიკის დაფუძნების საკითხებით, ლ. გოკიელი დაინტერესდა ჯერ კიდევ სტუდენტობისას. ამ მიმართულებით მან გამოაქვეყნა ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი: „დებულებათა სიმრავლის ძირითადი თვისებანი“ და „სიმრავლეთა თეორიის წინააღმდეგობანი“.

მათემატიკის დაფუძნება გულისხმობს მათემატიკის ძირითადი ცნებების და ოპერაციების სრული სიმკაცრით შეტანას მათემატიკის ყველა დარგში. კლასიკური და გამოთვლითი ხასიათის მათემატიკა, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მათემატიკის დაფუძნების პრობლემას.

მე-19 საუკუნეში ახალი მათემატიკური იდეების წარმოშობამ ნათელი გახადა, რომ „თვალსაჩინოება“ და „ინტუიცია“ არ არის საიმედო გზა მათემატიკური ჭეშმარიტების დასადგენად. ამით აშკარა გახდა მათემატიკის მკაცრ ლოგიკურ საფუძველზე აგების აუცილებლობა. ამ მიმართულებით ძირითად როლს ასრულებდა გ. კანტორის (1845-1918 წწ) მიერ შექმნილი სიმრავლეთა თეორია, რომლის მიხედვითაც ყოველ სიმრავლეს შეესაბამება გარკვეული კარდინალური რიცხვი და, გარდა ამისა, ყოველი სიმრავლის დალაგება შესაძლებელია.

განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ამ თეორიაში გაჩნდა სხვადასხვა ხასიათის წინააღმდეგობანი და ამით შეიქმნა კანტორის თეორიის საფუძველების გადასინჯვის აუცილებლობა-შეუძლებელი

შეიქმნა კანტორის ზემოხსენებული ორი პრინციპის უცვლელად დატოვება.

კარდინალური რიცხვისა და დალაგების ცნებანი ვრცელდება არა ყოველ სიმრავლეზე, არამედ მხოლოდ გარკვეული პირობით შეზღუდულ სიმრავლეზე. თვით ის ნორმა, რომელიც სიმრავლეს განსაზღვრავს, უნდა იძლეოდეს საშუალებას შესაძლებელი იყოს სიმრავლის დალაგება და მისთვის კარდინალური რიცხვის მიკუთვნება.

ლევან გოკიელს თავის შრომაში „დებულებათა სიმრავლის ძირითადი თვისებანი“ შემოაქვს დებულების ცნება და ამტკიცებს, რომ ყველა დებულებათა სიმრავლეს არ აქვს კარდინალური რიცხვი და, ამავე დროს, ამ სიმრავლის დალაგება შეუძლებელია-იხ. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, V, ტფილისი. 1925, 295-305.

სიმრავლეთა თეორიის წინააღმდეგობებს ლევან გოკიელმა მიუძღვნა ვრცელი შრომა „სიმრავლეთა თეორიის წინააღმდეგობანი“, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, 1928, 400-425.

მას შემდეგ რაც სიმრავლეთა თეორიაში აღმოჩნდა წინააღმდეგობანი, იყო სხვადასხვა ცდა ამ წინააღმდეგობათა დასაძლევად. ლევან გოკიელი ამ შრომაში ამბობს, რომ „აქსიომატიკა“ ან „ინტუციონიზმი“ ვერ მოგვცემს სიმრავლეთა თეორიის სრულ რეაბილიტაციას და იძლევა ბრაუერის (1881-1966), ჰილბერტის (1862-1943), ბურალი-ფორტეს (1861-1931)-მცდელობის კრიტიკას. მაგალითად „რასელ-ვეილის პირობის შესახებ შევნიშნავთ შემდეგს: აქ სიმრავლის არსებობის პირობა ეხება სიმრავლის კერძო ელემენტებს, იმის მაგივრად რომ თითონ სიმრავლეს ეხებოდეს და ამიტომ იგი არ არის შეთანხმებული თითონ საგნის მოთხოვნილებასთან. სიმრავლის არსებობის პირობას უნდა ჰქონდეს საქმე თითონ სიმრავლესთან, საგვარეულო ცნებასთან და არა მის კერძო სახეებთან.“

ასეთი ვრცელი კრიტიკის შემდეგ, ლევან გოკიელი აკეთებს შემდეგ დასკვნას (იხ.გვ. 425): „თავის სიმრავლეთა თეორიაში კანტორმა ფართო გასაქანი მისცა უსასრულობას. სამწუხაროდ, კანტორმა ზოგიერთ შემთხვევაში ეს უსასრულობა თითონ განმარტებებშიაც შეიტანა და ამით მათ გარკვეულობა დაუკარგა და ისინი გახდა საუკეთესო წყაროდ პარადოქსებისა. ამის შემდეგ თავი იჩინა საწინააღმდეგო მიმართულებამ. პარადოქსების არსებობის ფაქტმა აიძულა მრავალი მათემატიკოსი, მოეხდინათ უსასრულობის ცნე-

ბის შეზღუდვა. ამ მიმდინარეობამ მიაღწია უაღრეს განვითარებას ბრაუერის თეორიაში. ჩვენის აზრით, ორივე თვალსაზრისი უკიდურესობას გამოხატავს. განმარტება უნდა იყოს სრულებით დაბოლოებული ხასიათისა და იგი გარეშე რაიმე ფარულად შემოყვანილი უსასრულო პროცესისა უნდა უზრუნველყოფდეს განმარტებული საგნის გარკვეულობას. მაგრამ თუ ამის შემდეგ განმარტებული საგანი უსასრულო სახით წარმოგვიდგება, ეს ჩვენ ურყევ საბუთს გვაძლევს, ყოველ ეჭვს გარეშე ვიყოთ დარწმუნებული მის არსებობაში და არა პირიქით აქაც უსასრულობა უკანონოდ მივიჩნით. ამ ნიადაგზე მოხდება კანტორისა და მრაუერის თეორიების საუკეთესო მხარეების შეერთება. ერთი მხრივ შესაძლებელი იქნება უსასრულობის უმაღლესი ფორმების განხილვა, ხოლო მეორეს მხრივ განსაზღვრის დაბოლოებული ხასიათი უზრუნველყოფს სრულ სიმკაცრეს. ამასთანავე აცილებული იქნება ორივე ამ თეორიის უარყოფითი მხარეები: ერთი მხრივ ბრაუერის თეორიის გამანადგურებელი მოქმედება თანამედროვე მათემატიკის უდიდესი ნაწილის მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ კანტორის თეორიის ლოგიკური დეფექტიურობა, რომელიც მუდამ ახალ პარადოქსებს იწვევს.

მომავალმა სიმრავლეთა თეორიამ უნდა უზრუნველყოს როგორც მათემატიკური მეცნიერების განვითარების ის ფართო მასშტაბი, რომელითაც ის აქამდე სწარმოებდა, ისე სრული სიმკაცრე, რომელიც არამც თუ მოხსნის არსებულ პარადოქსებს, არამედ წინასწარ შეუძლებლად გახდის ახლების წარმოშობასაც“.

1928 წელს ლევან გოკიელი დაინიშნა უნივერსიტეტის ლექტორად და მიენდო დიფერენციალური აღრიცხვისა და ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა კურსების წაკითხვა.

1927-1928 წლებში მან ჩააბარა ზეპირი სადოქტორო გამოცდები.

1929-1930 წლებში ლევან გოკიელი სამეცნიერო მიზნით მივლინებული იყო და მუშაობდა მოსკოვში. 1929 წელს გამოაქვეყნა შრომა „შენიშვნები „AUSWALPRINCIP“-ის შესახებ“.

1921 წლის შემოდგომაზე სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საზღუნებისმეტყველო ფაკულტეტები გაერთიანდა პედაგოგიურ ფაკულტეტად, რომელიც 1930 წლის მაისში გადაკეთდა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად.

1930 წელს ლევან გოკიელი დაინიშნა დოცენტად, ხოლო 1931 წელს პროფესორად.

1933 წელს იგი იყო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე.

იმავე, 1933 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაარსდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, რომლის მათემატიკური განყოფილების სამი კათედრიდან, მათემატიკური ანალიზის კათედრის გამგედ დაინიშნა პროფესორი ლევან გოკიელი.

ბატონმა ლევან გოკიელმა მონაწილეობა მიიღო 1930 წელს ქ. ხარკოვში გამართულ მათემატიკოსთა საკავშირო პირველი ყრილობის მუშაობაში, სადაც გამოვიდა მოხსენებით „აქსიომატიკური მეთოდის კრიტიკა“. 1934 წელს ქ. ლენინგრადში მოწყობილ მათემატიკოსთა მეორე საკავშირო ყრილობაზე კი წაიკითხა მოხსენება „ტრანსფინიტური რიცხვების შესახებ“.

აქედან სრულიად აშკარად ჩანს, რომ ლ. გოკიელმა მოახდინა მათემატიკის დაფუძნებისადმი მიძღვნილი ყველა არსებული ძირითადი მიმართულებისა და გამოკვლევის შეჯამება, ერთი მეორესთან მათი შეჯერება და კრიტიკული განხილვა. ეს შედეგები გაერთიანა მონოგრაფიაში „სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები“ (1934 წ). უკანასკნელი გამოკვლევა მის მიერ წარდგენილ იქნა თბილისის უნივერსიტეტთან არსებულ საკვალიფიკაციო კომისიაში მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 1935 წლის 24 მარტს კი, საკვალიფიკაციო კომისიის სხდომაზე ჩატარდა პროფ. ლევან გოკიელის მიერ წარდგენილი ნაშრომის დაცვა – საკანდიდატო დისერტაციის დაუცველად. ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია საქართველოში, რომელიც დაცულ იქნა მათემატიკურ და მის მომიჯნავე მეცნიერებებში. მისი ოფიციალური ოპონენტები იყვნენ ნიკოლოზ მუსხელიშვილი (1891-1976 წწ), არჩილ ხარაძე (1895-1976 წწ) და მოსკოვიდან მოწვეული ანდრეი კოლმოგოროვი (1903-1987 წწ). კამათის დამთავრების შემდეგ კი, საკვალიფიკაციო კომისიამ დაადგინა: პროფესორ ლევან პეტრეს ძე გოკიელს, სადისერტაციო ნაშრომის „სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები“ დაცვის საფუძველზე მიენიჭოს მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

1946 წლის 8 მარტს განათლების უმაღლეს ინსტანციაში, ლევან გოკიელს მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და გადაეცა დოქტორის დიპლომი ДТ № 000733.

„ზოგადი მათემატიკის“ კათედრის პროფესორის წოდება მას მიენიჭა 1946 წლის 9 მარტს.



სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: ლევან გოკიელი, ნიკო ვეკუა, ნიკო მუსხელიშვილი, ანდრო ბიწაძე

მისი, როგორც პედაგოგის, მუშაობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმით, რომ ის იყო კარგი ლექტორი, დიდი მათემატიკურ-ფილოსოფიური ცოდნის მატარებელი და ამ ცოდნის სიღრმისეულად გადამცემი. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამ უაღრესად კულტურული პიროვნების საუბრის სტილი, საიდანაც აშკარად ჩანდა რომ მისთვის მეცნიერული მუშაობა გზა კი არ იყო სხვა მიზნებისკენ, არამედ იყო თვითმიზანი, მეცნიერული გატაცების საგანი. ბატონ ივანე ჯავახიშვილს თუ დავესესხებით, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ლევან გოკიელი ბედნიერი იყო, რადგან იგი იყო ბუნებისგან უხვად დაჯილდოებული მეცნიერულად აზროვნების უნარით.

მას აინტერესებდა ფუძემდებელ ცნებათა ლოგიკური ანალიზი, მათი შინაარსი და როლი მათემატიკის დაფუძნების საკითხში.

ამ მიმართულებით კვლევებმა იგი მიიყვანა ლოგიკის დაფუძნების საკითხამდე.

ლოგიკური დამტკიცება არ შეიძლება ემყარებოდეს დაუმტკიცებელს. ლოგიკას საფუძვლად უნდა ედოს დამტკიცებადი დებულებანი, რომელთა დადგენა უნდა ხდებოდეს სპეციფიკური ტიპის დასკვნის საშუალებით. ამ ტიპის დასკვნითი დებულების დადგენა მდგომარეობს მისი უარყოფის გზით უსასრულობისკენ რეგრესში. ასეთი ტიპის დასკვნებს, ლევან გოკიელმა უწოდა ძირეული დასკვნები. მათთვის დამახასიათებელია შეუძლებელი სიტუაციის შექმნა უარყოფის გზით; მაგრამ შეუძლებლობა ვლინდება არა უზრალო წინააღმდეგობაში, რასაც ადგილი აქვს აქსიომებზე დამყარებულ კვლევებში, არამედ უსასრულობისკენ რეგრესში.

ყველაფერ ამას წინ უძღოდა, ლევან გოკიელის მიერ კარლ მარქსის (1818-1883 წწ) მათემატიკური ხელნაწერების შესწავლა-განალიზება და იგი იყო ამ ხელნაწერების პირველი მკვლევარი. მოგვიანებით კი, ბევრმა უცხოელმა სპეციალისტმა თავისი კვლევის საგნად გაიხადა მარქსის მათემატიკური ხელნაწერები. ლევან გოკიელმა გამოაქვეყნა „კარლ მარქსის მათემატიკური ხელნაწერები და მათემატიკის დაფუძნების პრობლემები“-იხ. კ. მარქსი, მათემატიკური ხელნაწერები, სახელგამი, 1948, გვ.89-235 და მისივე „მათემატიკის საფუძვლები“, თბილისი, 1957, გვ. 566-576: „მარქსის თვალსაზრისი მათემატიკური ანალიზის დაფუძნების შესახებ“.

თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, პროფესორმა ლევან გოკიელმა ლექციების სახით წაიკითხა სავალდებულო და სპეციალური მრავალი კურსი.

უმაღლესი სასწავლებლებისათვის მათემატიკის ქართული სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს ანდრია რაზმაძემ (1889-1929 წწ), გიორგი ნიკოლაძემ (1888-1931 წწ), ნიკო მუსხელიშვილმა (1891-1979 წწ) და არჩილ ხარაძემ (1895-1976 წწ). თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდანვე დაწყებული ეს საქმიანობა, ღირსეულად გააგრძელა ლევან გოკიელმა.

მისი ავტორობით 1932 წელს გამოიცა „დიფერენციალური აღრიცხვა“ – ამ მიმართულების პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. ეს წიგნი ყურადღებას უპყრობს მასალის სისრულით, მათემატიკური ტექსტის სიმკაცრით და პედაგოგიური მიდგომებით.

1938 წელს ლევან გოკიელმა გამოსცა თავისი მეორე სახელმძღვანელო მათემატიკურ ანალიზში – „ანალიზის შესავალი“. ეს დიდი მოცულობის და დასამუშავებლად საკმაოდ მძიმე წიგნი, წარმოადგენს მათემატიკის, კერძოდ ძირითადი ცნებების დეტალურ გაშუქებას.

ასევე ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ლევან გოკიელის 586 გვერდიანი „მათემატიკის საფუძვლები“, თბილისი, 1957. ამ წიგნის პირველ თავში გადმოცემულია მათემატიკის ისტორიული განვითარების მიმოხილვა; მეორე თავში-სიმრავლეთა თეორიის, არითმეტიკის, ალგებრის და ალბათობის თეორიის საკითხები; მესამე თავში-გეომეტრიის საკითხების მეტად ვრცელი მიმოხილვა, არაეკვილიდური გეომეტრიის ჩათვლით. აქ დროულია აღინიშნოს, რომ ლევან გოკიელი იყო პირველი (უკვე მერამდენედ!) ქართველი, ვინც სპეციალური ნაშრომი მოუძღვნა ლობაჩევსკის (1792-1856) გეომეტრიას – „ლობაჩევსკის გეომეტრიის ფილოსოფიური მნიშვნელობა“ (1963წ). მეექვსე და მეშვიდე თავებში გადმოცემულია უსასრულოდ მცირეთა აღრიცხვის საფუძვლები, თავისივე ისტორიული განვითარების მიმოხილვით.

უდავოა, რომ ლევან გოკიელის სახელმძღვანელოებმა მათემატიკურ ანალიზში უდიდესი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა მათემატიკოსების მსოფლმხედველობის ფორმირება-ჩამოყალიბებაზე საქართველოში.

1944 წელს პროფესორ ლევან გოკიელს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი ავტორია 109 მეცნიერული ნაშრომის, მათ შორის 6 მონოგრაფიის.

ბატონი ლევანი დიდად განვითარებული იყო არა მარტო თავის დარგებში, არამედ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მუსიკაში, მხატვრულ ლიტერატურაში და მხატვრობაში.

მაგალითად ცნობილია: 1) მისი სამსაათიანი (!) მოხსენება თემაზე: „დოსტოევსკი და უსასრულობის ცნება“; 2) ლევან გოკიელი კარგად უკრავდა ვიოლინოზე; 3) მისი დისშილის, ქალბატონ ნათელა ნამორაძის გადმოცემით, მეცნიერული მუშაობის დროს ბატონი ლევანი თურმე უსმენდა ბახის, ან ზეთჰოვენის მუსიკას.

მრავალ სხვადასხვა კათედრას ხელმძღვანელობდა ბატონი ლევანი, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისთვის გათვალისწინებული მათემატიკის დაფუძნებისა და ისტორიის კათედ-

რის გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც იგი განაგებდა 1934-1970 წლებში. იგი იყო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი 1961-1962 წლებში.

ამასთან ერთად, ბატონი ლევან გოკიელი დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მუშაობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ პასუხისმგებელ მდივნად.

ცალკე უნდა გამოიყოს ბატონი ლევანის ნაყოფიერი მუშაობა ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში (1935-1948) და ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც 1948-1953 წლებში იგი ხელმძღვანელობდა ლოგიკის განყოფილებას და იყო უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ნახევარ განაკვეთზე 1958 წლის 18 ივლისიდან (თვეში 1750 მანეთის ანაზღაურებით). ამან გამოიწვია მისი მეცნიერული მუშაობის ახალი აღმავლობა, ბატონ სავლე წერეთელთან (1907-1966წწ) ერთობლივი მუშაობით ლოგიკის პრობლემებზე.

1967-1970 წლებში ლევან გოკიელი იყო საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტი. პროფესორი ლევან გოკიელი, 1961 წლის 10 იანვარს არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებაში (მათემატიკა).

ბატონი ლევანი 1953 წელს დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით, ხოლო 1946 წელს „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლით „შრომითი მამაცობისთვის“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლევან გოკიელი გარდაიცვალა 1975 წლის 4 იანვარს; იგი დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ორი მეგობარ-პროფესორის, ლევან გოკიელისა და სავლე წერეთლის ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ ურთიერთგანსხვავებული საშუალებებით: ბატონი სავლე 1941-1945 წლებში ფაშიზმს ებრძოდა იარაღით ხელში, ხოლო ბატონი ლევანი პრესაში გამოქვეყნებული წერილით „ფაშიზმი მეცნიერების მტერია“ აკადემიკოსებთან: ნიკო მუსხელიშვილთან, სიმონ ჯანაშიასთან და გიორგი ახვლედიანთან თანაავტორობით.

ლევან გოკიელისა და სავლე წერეთლის ფრონტულ თანამშრომლობაზე საუკეთესოდ მეტყველებს შემდეგი, მეტად საინტერესო ისტორიული წერილი, რომელიც 1944 წლის 16 ნოემბერს ფრონტიდან გამოუგზავნა ბატონმა სავლე წერეთელმა ბატონ ლევან გოკიელს. აი, ეს წერილიც:

დიდათ პატივცემულო ლევან!

მივიღე თქვენგან გამოგზავნილი მეორე შრომა (ჩემი ფრონტზე ყოფნის პერიოდში).

გწირავთ ენით გამოუთქმელ მადლობას, არა იმიტომ, რომ თქვენ – საქართველოს დიდი მეცნიერი – მე-უბრალო სალდათს მეგობარს მიწოდებთ, არამედ იმიტომაც (ესაა მთავარი), რომ უნივერსიტეტიდან მგონი მხოლოდ თქვენ ერთს გასურთ არ დადუმდეს ჩემი უნარი და მაწვდით ჩემთვის სანატრელ სულიერ საზრდოს.

რით უნდა გამოსთქვას კაცმა ის გრძნობა, როცა სიკვდილს თვალეში მისჩერებიხარ, მტერს ანადგურებ, მაგრამ თვითონაც ყოველ წუთს ელი სიკვდილს და ამ დროს ფოსტალიონი მოხობდება ცეცხლის ქვეშ და გადმოგცემს დიდი მეცნიერის შრომას, რომელსაც აწერია „მვირფას მეგობარს“.

ბატონო ლევან! ამ დროს მე ვიგრძენი ისეთი რამ, რომელიც თავისში საშინელი სიხარულის და ტანჯვის გრძნობებს აერთიანებს, მათზე მალლა დგას და შეიძლება სწორედ მას ეწოდება უკვდავების გრძნობა.

ნეტარ ავგუსტინეს არ ჰქონია ასეთი განცდა ღმერთის მიმართ.

ამ გრძნობის გამოხატვა შესძლო მხოლოდ სიხარულის იმ ცრემლებმა, რომლებიც თქვენი შრომის მიღების დროს ყელში მომაწვნენ და დროებით სუნთქვა შემიჩერეს.

ჩემს დამოკლებულ ჭკუას უნდოდა ერთ საკითხზე (თქვენი პირველი შრომიდან) თავისი აზრი გაეზიარებინა თქვენთვის, მაგრამ ეს უნდა გადაიდვას მანდ ჩემს ჩამოსვლამდე (თუ ცოცხალი დავრჩი), რადგან ძნელია მეცნიერული მსჯელობის წარმოება, როცა ფაშისტთა გვამები მოგჩერებიან-ეს სისულელეც იქნებოდა.

თქვენი მახვილი აზრი და ბავშვური სისპეტაკე ადამიანურობისა-უდიდესი იმედია ჩემთვის ჩემი დეკვალიფიკაციის მეოთხე წლის თავზე.

თქვენი შრომით აზრგაბრწყინებული დავდივარ „აკოფებში“ და ვამხნევებ მებრძოლებს, მოვუწოდებ მათ მეცნიერების საშინელ მტერთა-ფაშისტების საბოლოო განადგურებისაკენ.

ამით თქვენც ჩემთან ერთად უშუალო მონაწილე ხართ, ამ დიადი განმათავისუფლებელი ომისა.

დიდებულო მეცნიერო და უძვირფასესო ადამიანო! მიიღე ჩემი სალამი აღმოსავლეთ პრუსიიდან.

ღრმა პატივისცემით თქვენი მოწაფე-სავლე წერეთელი. 16/XI 44 წ.

P.S. დიდათ მაინტერესებს, თუ რა კეთდება ჩვენთან ფილოსოფიის ფრონტზე-რა შრომები დასწერეს საქართველოს ფილოსოფოსებმა, მაგრამ მე ისე ჩამოვრჩი ამ საქმეს, რომ ალბათ ვერც მივხვდები, თუ რაშია საქმე. იმედი მაქვს, რომ არ შეწყუხდებით ამ წერილის წაკითხვით.

*აკად. გიორგი ჭოლოშვილი
პროფ. ომარ ძაგნიძე*

Levan Gokieli

(A brief review of his life and work)

Levan Gokieli, a well-known Georgian Mathematician and Philosopher, a Corresponding member of the Georgian Academy of Sciences, Professor, Doctor of Physical and Mathematical Sciences, was born on December 3, 1901, in Kutaisi.

The Gokieli family was actively involved in agricultural, educational and cultural lives of Kutaisi. According to the legend, the ancestor of the Gokielis was an Italian goldsmith (from Florence), who was invited by the Samegrelo ruler in the XVII century. One of the two sons of the goldsmith was left in Samegrelo and received the name of Ejibi (Ejibi-Architect), while the other went to the Georgian Catholic Community in Meskheti-Javakheti. There he settled in the village of Gokyo, from which his descendants received the surname Gokieli.

Following the construction of the Tbilisi-Poti railway, the Gokieli family considered Kutaisi as a convenient place for their knowledge and skills and settled in the city. It should be noted that their activities were versatile and successful.

Levan Gokieli received primary education from his mother Mariam Bajashvili, a teacher of mathematics, who had graduated from Kutaisi St. Nino women's college. In 1910-1919, Levan was an excellent student of Kutaisi's Gymnasium. He was distinguished with his decency and wit. For many years he was a representative of students in the pedagogical council, which is probably a rare case in the school history.

Levan's education was influenced by one of the letters sent by his father in 1913, which had the following words: "You have made your way of life with dignity, hard work, and diligence. You have overcome the obstacle and unjust persecution. You have always been honest, humane, righteous, defender of the oppressed, guardian of the Motherland and the hope of Parents. Peter - Father. February 2, 1913".

While studying at the gymnasium, Mr. Levan had developed his individual approach to philosophical issues, different from others.

For example, according to Levan Gokieli, repentance through the method of forgiveness of sins was considered as a logical problem, where

the logical regression method infinitely existed, which turned out to be very important in his further works. Let's say, the person has repented his future sins beforehand. After that, he robs the priest who has forgiven and retained his sins. He takes away the royalties from him with other things.

The following question arises: Is the deprivation of royalties considered a sin? According to the priest, but not the repentant, it can be considered a sin, which still needs repentance. If the repentant repeat the same mistakes, it will be a continuous unsolved problem.

Theoretically, it was quite possible, but practically it was very difficult: Levan had to work on the common problems of both sciences - philosophy and mathematics. He had to communicate with the non-Philosopher mathematician and non-mathematician, philosopher, which undoubtedly was accompanied by an unfinished scientific conflict - disputes and arguments. This has already defined the way of his life, which his father has expressed in his letter, and this fight must have been honest! It should be said in his favor that he turned out to be ready for such a struggle, which usually ends successfully.

In 1919, Levan Gokieli entered the Mathematical Department at Tbilisi University, where Professor Andria Razmadze (1890-1929) was already a reputable scientist who gave lectures in mathematical analysis. The professor had had a great impact on student Levan Gokieli with his precise reasoning and serious approach to the subject. Student Gokhieli was also greatly influenced by Professor Shalva Nutsubidze's (1888-1969) course in Philosophy.

These influences were also caused by the fact that Shalva Nutsubidze's doctoral thesis "Bolzano and the Scientific Theory" (published in 1913 in Russian) was dedicated to the great philosopher and mathematician Bernard Bolzano (1782-1848), who had made a considerable contribution to mathematical logic and set theory.

Levan Gokieli graduated from the University in 1924 and received the diploma issued on January 10, 1936. He was the first and only mathematician who graduated from Tbilisi State University that year. Levan Gokieli's diploma thesis was "Functions, as a Series of Continuous Functions." The next year the university did not have graduate students in mathematics, only in 1926.

Levan Gokieli, a graduate student of strict and demanding teacher - Andria Razmadze, stayed at the University as a future Professor. Since 1927, Levan had been working as an assistant to Andria Razmadze.

As a student L. Gokieli was interested in Mathematical logic and philosophical issues, in particular, the issues of mathematics. In this direction, he published two important works: "The main features of the Set of Provisions" and "Contradictions in Set Theory."

The development of mathematics implies the introduction of basic concepts in all fields of mathematics. The classical and computational mathematics paid less attention to the problem of mathematics.

The emergence of new mathematical ideas in the 19th century made it clear that "clarity" and "intuition" are not reliable ways to determine mathematical truths. Thus, the necessity to build math on a strictly logical basis has become evident. The main role in this direction was Set of Theory created by G. Cantor (1845-1918), according to which each set corresponds to a certain cardinal number and, in addition, each set can be arranged.

At a certain stage of development, the theory has been characterized by different kinds of contradictions and it was necessary to revise the basis of the Cantor theory – it was impossible to leave the above-mentioned two principles.

The concepts of cardinal number and arrangement are not limited to each set, but only to the certain restricted ones. The norm, which determines the set, should allow mathematicians to arrange sets and assign cardinal numbers to them.

Levan Gokieli, in his work "The Main Character of the Provisions," introduces the notion of the provision and argues that not all sets of provisions have cardinal numbers and at the same time it is impossible to arrange these sets. Tiflis University Moambe, V, Tiflis. 1925, 295-305.

Levan Gokhieli devoted his extensive work: "Contradictions in Set Theory" to the contradictions of set theory. Tiflis Universiti Moambe, VIII, 1928, 400-425.

After the contradictions were discovered in Set Theory, there was a variety of attempts to overcome these obstacles. Levan Gokieli in this work says that "axiomatic" or "intuitionism" cannot give us the full rehabilitation of set theory and he criticizes Brauer's (1881-1966), Hilbert's

(1862-1943), Burley-Forte's (1861-1931) attempts. For example, "We note about the condition of Russell-Weill: the condition of the existence of sets here refers to the private elements of sets, rather than to the sets themselves, and therefore it is not compatible with the requirement of the subject. The condition of the existence of sets must deal with sets themselves, not the private types."

After such an extensive criticism, Levan Gokieli makes the following conclusion (see page 425): "In his set theory, Cantor accepted the concept of actual infinity that opened the door to paradoxes which would challenge the validity of mathematics as a whole. Then the opposite direction emerged. The existence of paradoxes forced many mathematicians to limit the concept of infinity. This process achieves immense development in the theory of Brauer. In our opinions, both views express extremity. The explanation must have a completely abstract character, and it should provide a clarification on the subject without any stealthily introduced the infinite process. But if the defined subject is presented in an infinite way, it gives us steady evidence that we should be confident in its existence and the infinity should not be considered wrongful. On this basis, the best parts of Cantor's and Brauer's theories will be connected. On the one hand, it will be possible to examine the higher forms of infinity, and on the other hand, the complete character of the determiner insures full strictness. The disadvantages of both these theories will be also avoided: on the one hand, the devastating action of Brauer's theory towards the greater part of modern mathematics, and on the other hand, the logical defect of Cantor's theory, which always leads to new paradoxes.

The future set theory should provide a broad range of mathematical sciences, and strictness that will not only remove existing paradoxes but also originate new ones".

In 1928, Levan Gokieli was appointed as a lecturer at the University and had to deliver courses of differential accounting and real variables. In 1927-1928 he passed oral doctoral exams.

From 1929 to 1930 Levan Gokhieli was sent to Moscow for scientific purposes and worked there. In 1929, he published work "Notes about AUSWALPRINCIP".

In the autumn of 1921, the Faculties of Philosophy and Mathematics were joined together as a Pedagogical Faculty, which was converted into State Pedagogical Institute in May 1930.

In 1930, Levan Gokhieli was appointed as an assistant professor and in 1931 he became a professor.

In 1933 he was the Dean of Mathematical Faculty at Pedagogical Institute.

The same year, in 1933, Professor Levan Gokhieli founded the Faculty of Physics and Mathematics at Tbilisi University. He was appointed as chair of the department of mathematical analysis. In 1930, Levan Gokhieli participated in the First Conference of Mathematicians held in Kharkiv, where he made the following report: "A Criticism of the Axiomatic Method" and in 1934, he read the report on transfinite Numbers at the second Union of Mathematicians in Leningrad.

It's obvious that L.Gokhieli summarized all the main directions and researches, their compliances with one another and critical discussions dedicated to mathematics. These results were combined in the monograph "Issues of the Establishment of Set Theory" (1934). The last research was presented to the qualification commission at Tbilisi University for obtaining a Doctor's Degree in Mathematical Sciences." On March 24, 1935, at the meeting of the qualification commission, Levan Gokhieli's defended his work, without defending a Candidate's thesis. It was the first doctoral thesis in Georgia, which was defended in mathematics and its related sciences. His official opponents were Nikoloz Muskhelishvili (1891-1976), Archil Kharadze (1895-1976) and Andrey Kolmogorov from Moscow (1903-1987). After the arguments, the qualification commission ruled the following: Professor Levan Gokhieli was awarded the Doctor's degree in Mathematical Sciences on the basis of the thesis: "Issues of the Establishment of Set Theory."

On March 8, 1946, Levan Gokhieli was awarded a doctorate degree in Physics and Mathematics at the Institute of Higher Education and was granted a diploma of Doctor DET № 000733.

He was awarded the title of professor of the Department of "General Mathematics" on 9 March, 1946.

His work as a teacher was not limited to the fact that he was a good lecturer, with great mathematical and philosophical knowledge and sha-

rer of this knowledge. The speaking style of this highly cultural person was not less important, from which it was obvious that the scientific work for him was not the way for other purposes, but it was his passion for science. If we repeat Ivane Javakhishvili's words, it can be said that Levan Gokieli was happy because he was granted with the skills of scientific thinking from nature.

He was interested in the logical analysis of the basic concepts, their content, and role in mathematics. In this regard, research led to the problem of establishing logic.

Logical approval cannot be based on non-approval. The logic should be based on the approved provisions, which should be determined by a specific type of conclusion. The determination of this type of final provision is through the denial that it's in regression to infinity. Levan Gokhieli called such conclusions fundamental conclusions. It is characteristic for them to create an impossible situation through denial, but the unfeasibility is revealed not in a simple contradiction, which exists in the studies based on axioms, but in regression to infinity.

All of these were preceded by studying and analyzing mathematical manuscripts of Carl Marx (1818-1883). Gokieli was the first researcher of these manuscripts. Later, many foreign specialists used Carl Marx's mathematical manuscripts as the subjects of their research. Levan Gokhieli published "Karl Marx's Mathematical Manuscripts, and the Problems of the Development of Mathematics," (see K. Marx, Mathematical Manuscripts, State publishing house, 1948, pp.89-235 and his "Mathematical Fundamentals", Tbilisi, 1957, pp. 566-576: "Marx's View on the Introduction of Mathematical Analysis").

During his long pedagogic career, Professor Levan Gokhieli delivered mandatory and special courses as lectures.

Giorgi Nikoladze (1888-1931), Niko Muskhelishvili (1891-1979) and Archil Kharadze (1895-1976) made a considerable contribution to the creation of Georgian textbooks of mathematics for higher education institutions.

Levan Gokieli decently continued this activity, which was started until the establishment of Tbilisi University.

Under his authorship "Differential Accounting" was published in English in 1932 - the first textbook in this direction. This book draws

attention to the complexity of the material, strictness of mathematical text and pedagogic approaches.

In 1938 Levan Gokhieli published his second textbook in Mathematical Analysis - An Introduction to Analysis. This is a large and very heavy book for processing and provides a detailed coverage of math, especially the basic concepts.

Levan Gokhieli's 586-page "Mathematical Basics" (Tbilisi, 1957) are also of fundamental importance. The first chapter of this book provides an overview of the historical development of math; the second chapter defines the issues of Set Theory, arithmetic, algebra and probability theory; the third chapter describes an extensive review of Geometry issues, including unmatched Geometry. It should be noted that Levan Gokhieli was the first Georgian, who dedicated a special work to Lobachevsky's Geometry (1792-1856) – "Philosophical Meaning of Lobachevsky's Geometry" (1963). The sixth and seventh chapters provide the basis of counting infinitely small numbers, with its historical development review.

Obviously, Levan Gokhieli's textbooks have had a great influence on the formation of young mathematicians' views in Georgia.

In 1944, Professor Levan Gokhieli was awarded the title of an Honored Scientist of the Georgian SSR. He is the author of 109 scientific works, including 6 monographs.

Levan Gokhieli was greatly developed not only in his field, but also in Humanitarian Sciences, music, artistic literature and painting.

For example, 1) his three-hour (!) report on the following topic: "Dostoevsky and the Concept of Infinity"; 2) Levan Gokhieli played on a violin very well; 3) According to her niece Natela Namoradze, during the scientific work Mr. Levan listened to the music of Bach or Beethoven.

Levan Gokhieli led many different faculties. It should be especially noted that he founded the Department of History at Tbilisi State University, which he led from 1934 to 1970. He was the dean of the Faculty of Mechanics and Mathematics in 1961-1962.

In addition, Mr. Levan Gokhieli was a great and fruitful worker at the Georgian Academy of Sciences. In this regard, it is especially important to note that he worked as an executive secretary of "Moambe of the Georgian Academy of Sciences."

It should be separately noted that Levan Gokieli productively worked in Andrew Razmadze Institute of Mathematics (1935-1948) and Institute of Philosophy, where he was head of the department in 1948-1953, and worked part-time as the senior scientist from July 18, 1958 (monthly salary – 1,750 Rubles). This led to a new growth of his scientific work on logic problems jointly with Savle Tsereteli (1907-1966).

In 1967-1970 Levan Gockel was a president of the Georgian Mathematical Society. Professor Levan Gokieli was elected as a corresponding member of the Georgian Academy of Sciences in Mathematics and Natural Sciences (mathematics) on 10 January 1961.

Mr. Levan was awarded the Order of Lenin in 1953 and in 1946 with the Order of Honor and the Medal for "Bold Labor".

Levan Gokhieli, Correspondent Member of the Georgian Academy of Sciences, died on January 4, 1975. He was buried in the Saburtalo Pantheon of Public Figures.

It should be especially noted that Levan Gokieli's and Savle Tsereteli's fight against Fascism was quite different: Savle Tsereteli fought against fascism with the weapon in 1941-1945 and Levan Gokieli fought with his published letter: "Fascism is the Enemy of Science" with Niko Muskhelishvili, Simon Janashia, and Giorgi Akhvediani as co-authors.

Levan Gokieli and Saul Tsereteli's cooperation is clearly shown in the most interesting historical letter, which was sent by Mr. Tsereteli to Mr. Levan Gokieli on November 16, 1944. Here is the letter:

Greatly respected Levan!

I received another work sent from you (when I was at war).

I am immensely grateful to you not only because you - a great scholar of Georgia calls me - a simple soldier, as your friend, but also because (that's important) you are the only one who wants me to keep my skills improved and give me a "spiritual nourishment."

How should a man describe the feeling of death, when you face it? Destroying the enemy, you still await death every minute, and the postman gets closer to you under fire and gives you the work of a great scholar, with the following heading: "To my Dear Friend."

Mr. Levan! At that time, I felt something that combines the feelings of terrible joy and suffering, standing above them, and it is called the immortality of the soul.

Blessed Augustine did not have such a feeling towards God.

Only the tears of joy that I felt when I received your work could express the feeling of embarrassment and took my breath away.

I wanted to share my opinion on one of the issues (from your first work), but it should be postponed until my arrival (if I stay alive) because it is difficult to conduct a scientific discussion when the corpses of fascists are staring at you - it would be even nonsense.

Your shrewd thinking and my naive purity of humanity are the greatest hopes for me in the fourth year of my disqualification.

Being stimulated by your work, I walk and encourage the fighters and call them for the ultimate destruction of the terrible enemies of the science - Fascists.

By doing this, you are directly involved in this great liberation war.

Greatest scholar and dearest man! My greetings from East Prussia.

With the deepest respect,

Your disciple - Saul Tsereteli. 16 / XI / 1944.

P.S. I am wondering what has been done in the field of philosophy - what kind of works Georgian philosophers have written, as I missed a lot. I hope that this letter will not disturb you.

Acad. *Giorgi Chogoshvili*

Prof. *Omar Dzagnidze*

ლევან გოკიელის ცხოვრების და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

- 1901 წლის 3 დეკემბერს დაიბადა ქ. ქუთაისში.
- 1910-1919 წწ. სწავლობდა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში.
- 1919 წ. შევიდა თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტში პედაგოგიური ფაკულტეტის მათემატიკურ განყოფილებაზე.
- 1924 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი და დატოვებულ იქნა პროფესორად მოსამზადებლად.
- 1927 წ. მუშაობა დაიწყო ასისტენტად თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტში, ანდრია რაზმადის წარდგინებით.
- 1928 წ. დაინიშნა თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის ლექტორად.
- 1927-1928 წწ. ჩააბარა სადოქტორო გამოცდები.
- 1929-1930 წწ. სამეცნიერო მუშაობისთვის მივლინებული იქნა ქ. მოსკოვში.
- 1930 წ. მოხსენებით გამოვიდა ქ. ხარკოვში გამართულ მათემატიკოსთა საკავშირო ყრილობაზე.
- 1930 წელს თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტში დაიკავა პროფესორი თანამდებობა.
- 1931-1932 წწ. იყო თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი
- 1933 წ. იყო თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკური ფაკულტეტის დეკანი.
- 1934 წ. მოხსენებით გამოვიდა ქ. ლენინგრადში გამართულ მათემატიკოსთა მეორე საკავშირო ყრილობაზე.
- 1934-1970 წწ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტში განაგებდა მათემატიკის დაფუძნებისა და ისტორიის კათედრას.
- 1935 წლის 24 მარტს თბილისის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, საკანდიდატო დისერტაციის დაუცველად, თემაზე: „სიმრავლეთა თეორიის დაფუძნების საკითხები“.
- 1935-1948 წწ. მუშაობდა ანდრია რაზმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში.
- 1944 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

- 1946 წლის 8 მარტს განათლების უმაღლეს ინსტანციაში მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.
- 1946 წლის 9 მარტს მიენიჭა „ზოგადი მათემატიკის“ კათედრის პროფესორის წოდება.
- 1946 წ. დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის ორდენით“ და მედლით „შრომითი მამაცობისთვის“.
- 1948-1953 წწ. იყო ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელი ფილოსოფიის ინსტიტუტში.
- 1953 წ. დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.
